პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი, 18 ნოემბერი, 1947 წ. № 230 (8014). ფასი 20 კაპ.

საყოველთაო ნდობითა და სიყვარულით აღჭურვილი ადამიანები—საარჩევნო კომისიებში

საქართველოს მშრომელები გაცხოველებით ეგებებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ქალაქად და სოფლად, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში აგიტატორთა და პროპაგანდისტთა მრავალრიცხოვანი არმია ამომრჩეველთა ფართო მასებს გულდიდოდ აცნობს საბჭოთა საარჩევნო კანონს, დიდ სტალინურ კონსტიტუციას.

არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ტარდება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე, კონსტიტუციისა, რომლის მეშვიდედიდ არის ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ნამდვილი სახალხო დემოკრატიზმი განსაკუთრებით ნათელ გამოსატყვლის პოულობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. მილიონობით საბჭოთა მოქალაქეები არა მარტო თავისუფლად ახორციელებენ თავიანთ უფლებას ირჩიონ და იყენონ არჩეულნი, არამედ საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორების როლშიც გამოდიან, ხელმძღვანელობენ არჩევნებს. მეშვაბა, კოლმეურნეთა, საბჭოთა ინტელიგენციისა და დიასპლისების მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კომისიების მეშვაბაში ამის დადასტურებას წარმოადგენს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ალალმიავალ ყრებებზე უდიდესი აქტიურობით წამოაყენეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საარჩევნო კომისიებში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის პრეზიდიუმმა უკვე დაამტკიცა მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები. აგრეთვე საქართველოს სსრ რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები. მთელ საქართველოში ახლა მიმდინარეობს კანდიდატების წამოყენება საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შუბები და ინდივიდუალურ კაცსაები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მეშაბოსამსახურები საარჩევნო კომისიებში ჰგზავნიან თავიანთ საუკეთესო შრომამოდგეწელებს, სოციალისტური სამშობლოს მეზნეებრივ პატრიოტებს, ლენინ-სტალინის დიდი საქმის უანგარო ერთგულ ადამიანებს. საარჩევნო კომისიებში მშრომელებმა წარგზავნეს ცნობილი სტახანოველი ქვედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის დეპუტატი ვასილ კორძაძე, თბილისის კიროვის სახელობის პოლტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი საბჭოთა კავშირის მგზარ ირაკლი ციცუშვილი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაჯილდოებული ნადი ოდიშვილი, სტახანოველი ოსტატი სიმონ ჭოხობელიძე, ლენინგრ. პედაგოგი, სსრ კავშირის უმაღესი საბჭის დეპუტატი თამარ ბასიაშვილი, საქართველოს სსრ სახელო არტისტი დოდო ანთაძე, საოლქო რეფერენდუმ შრომის ნოვატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი სსრ კავშირის უმაღესი საბჭის დეპუტატი ქსენია სარსანია და მრავალი სხვა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიებში გაცილებით მეტი ხალხი მონაწილეობს, ვიდრე წინა არჩევნების დროს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო თბილისში საარჩევნო კომისიებში იმუშავეს 9.700-ზე მეტი კაცი. მშრომელთა ნდობით აღჭურვილმა ათასობითი ადამიანებმა უნდა უზრუნველჰყონ არჩევნების მსელელობა ტასლინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის დებულების მოთხოვნათა განუხვლად შესრულება. სწორედ ამიტომ საჭირო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა წამოყენების საკითხს მიეუდგეთ უდიდესი პასუხისმგებლობით.

სავალაკო და რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემდეგ დაიწყება საუბნო საარჩევნო კომისიების, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა. ამ კომისიებშიც უნდა წამოეაყენოთ შემოწმებული, მოწონებე საბჭოთა ადამიანები, რომელთაც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება აქვთ და შესწევთ უნარი წარმატებით განსახორციელონ მათთვის დაკისრებული მოვალეობა.

ხალხს ნდობით აღჭურვილთა შორის ბევრია ისეთი ადამიანები, რომელთაც წელს პირველად მოუხდებათ საარჩევნო კომისიებში მუშაობა. პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ ამ ამხანაგებს. ახლაც უნდა გაეწიოს ფაბრიკა-ქარხნებ კომისიების წევრებს, ყველამ უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა, რასაც მას საარჩევნო კანონი აკისრებს. უამისოდ შეუძლებელია ნამდვილი საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფა არჩევნების მთელ მსვლელობაზე. საარჩევნო კომისიის თვითეული წევრის ღირსად უნდა ჰქონდეს შეგნებული მისთვის მინდობილი სამეშაოს უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ყოველდღიურად აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საარჩევნო კომისიის მთელ საქმიანობაში. უამისოდ მას არ შეეძლია გამართლოს შრომელთა ნდობა, რომელიც მისი კანდიდატურა წამოაყენეს საარჩევნო კომისიაში.

პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან საარჩევნო კომისიებს გამოუყონ და გადასცენ შესაფერი ბინები. უზრუნველჰყონ ისინი სათანადო ინვენტარით და სხვა მასალებით, რაც საჭიროა არჩევნების ტექნიკური მომზადებისათვის.

არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს შრომელთა მაღალი პოლიტიკური და საწარმო აქტივობით. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების აქოცანა სათავეში ჩაუდგნენ შრომელთა ამ აქტივობას, ახალი წარმატებები მოიპოვონ მეოთხე სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ბამოჩენილი საბჭოთა მეცნიერ-ისტორიკოსის აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დადგინა:

1. დაარსდეს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის პრემია 20.000 მანეთის ოდენობით, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი სამ წელიწადში ერთხელ მიანიჭებს საუკეთესო ნაშრომს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.

2. დაწესდეს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სტიპენდიები:

ორი სტიპენდიდა ასპირანტებისათვის, თითო 800 მანეთის ოდენობით, ერთი—ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში და ერთი — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

ს) ისტორიის ფაკულტეტისა სტუდენტებისათვის ოთხი სტიპენდია, თითო 400 მანეთის ოდენობით, ორი—თბილისის სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ორი—სოხუმის ბერიას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

3. მიეკუთვნოს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმს.

4. დაეკალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აკადემიკოს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელი მიაეკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

5. დაეკალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1948-1949 წლების განმავლობაში გამოსცეს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას თხზულებათა კრებული.

6. დაენიშნოს აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას მეუღლეს მართა ილიას ასულ ჯანაშიას და შვილებს—ნიკოლოზსა და რუსუდანს პენსია სსრ კავშირის სახელმწიფოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად და მიეცეთ თითოეული დაბმარება 30 ათასი მანეთის ოდენობით.

7. დაენიშნოს ს. ნ. ჯანაშიას დედას — ელენე მაქსიმეს ასულ ჯანაშიას ზედმეი პენსია თვეში 500 მანეთის ოდენობით და მიეცეს მას ერთდროული დაბმარება 10 ათასი მანეთის ოდენობით.

იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი

რეგისტრირებულია მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში

... ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საარჩევნების რაიონული საარჩევნო შესახებ

15 ნოემბერს, დღის 5 საათზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. ვ. პეშკინმა სხდომის გახსნისას დამსწრეთ მოაგონა, რომ 12 ნოემბერს ელექტროქარხნის მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგი სტალინი და თხოვნით მიმართა იოსებ ბესარიონის-ძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქში. ამ წინადადების მხურვალედ დაუჭირეს მხარი საინტერესენენო ქარხნის, ფაბრიკა „ოსეთინოდიონი ტრუდის“ და მე-14 მატყლსართავი ფაბრიკის კოლექტივებმა. 14 ნოემბერს შემდგარ საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლობამ დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით დაუჭირეს მხარი ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინის კანდიდატურას მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე.

— დღეს მე შემიძლია გაცნობოთ სასიხარულო ამბავი: ამხანაგი სტალინი დათანხმდა „კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში!

დამსწრენი ტაშის გრიალით შეხვდნენ ამ სიტყვებს.

ამხ. ეუშკინი ულოცავს ყველა დამსწრეს იმ მაღალ ნდობას, რაც ამხანაგმა სტალინმა აღმოუჩინა სტალინის ოლქის მშრომელთ, და დღეგრძელობას უსურვებს იოსებ ბესარიონის-ძეს.

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილია ერთი საკითხი: მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაცია. სიტყვა ეძლევა ელექტროლამპების წარმოების პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. დ. ი. ბოგატო

მშრომელები საარჩევნო კომისიებში ასახელებენ მოწინავე საბჭოთა პატრიოტებს

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა

გუშინ, 15 ნოემბერს, შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრება, მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატების დასახელებისადმი.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ლოლაძის მოკლე სიტყვის შემდეგ კრება შეუდგა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატების დასახელებას.

სიტყვა აიღო სატენდერო საამქროს წუნმდებელმა ინჟინერმა გ. მნაცაკანოვმა. საამქროს კოლექტივის სახელით მან მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა საქვაბე საამქროს მოწინავე სტახანოველი ამხ. ი. ბაბაევი.

მექვაბე ბაბაევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის. ეს სიყვარული მან თავდადებული შრომით დაიმსახურა. იგი 400-500 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმას. მას ეკუთვნის მრავალი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც სახელმწიფოს ათეული ათასობით მანეთი მოგება მისცა. ამხ. ბაბაევი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიცაა. ამიტომ იყო, რომ მის დასახელებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ კრების მონაწილენი.

სახალხო ვაგონების საამქროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. ვოიჩაგმა ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების № 14 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ინჟინერი ი. რამიშვილი. მუშა-მოსამსახურეთა შორის იგი ცნობილია როგორც უნარიანი ხელმძღვანელი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

მთელ საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ ქარხნის ელექტროშემდუღებელს ნოვატორ შ. ნადირაძეს. მან შექმნა ურთულესი ცილინდრების შედუღების საკუთარი მეთოდი. როგორც კარგი სპეციალისტი, ამხ. ნადირაძე გზათა მინისტრის მიერ 7 თვის წინათ გაგზავნილ იქნა ჩვენი ქვეყნის სხვა ქარხნებში მისი მეთოდის დასანერგავად. შაქრო ნადირაძის ადგილას ახლა მუშაობს მისი შვილი 19 წლის კომკავშირელი კარლო ნადირაძე. მას ზედმიწევნით ათვისებული აქვს მამის პროფესია და ყოველდღიურ გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებს. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის კარლო ნადირაძე ამას წინათ საპატიო სიგელით დააჯილდოვა. მუშა-მოსამსახურეთა კრებამ რაიონული საბჭოს არჩევნების № 42 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად წამოაყენა ახალგაზრდა სტახანოველი ნოვატორის კარლო ნადირაძის კანდიდატურა.

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში სულ წამოაყენა 82 მოწინავე ადამიანი.

ავტოსარემონტო ქარხანა

მრავალი მოწინავე ადამიანი წამოაყენეს საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც 700 კაცი დაესწრო, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა უპარტიო მუშა, სტახანოველი მჭედელი ვლადიმერ გაბრიელის-ძე ლუდუშაური. პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. სულაძემ ვ. ლუდუშაური დაახასიათა როგორც საუკეთესო მუშა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მან ორი წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულა.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გარდავაძემ თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა სამამულო ომის მონაწილე, მოწინავე ხარატი თ. ციმბალი, რომელმაც თავი ისახელა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით. ის დღიურ დავალებებს 350 პროცენტით ანაღდებს.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ინჟინერ-კონსტრუქტორი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი კომუნისტი თ. ფოცხვერია.

კომკავშირულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარსაგზავნად დაასახელა სტახანოველი ხარატი დ. გობეჯიშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 400 პროცენტით ანაღდებს.

საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წამოყენებული არიან აგრეთვე დურგალი ლ. მელიძე, ზეინკალი გ. პაპუნაშვილი, ინჟინერი გ. პაპავა და სხვები, სულ 53 კაცი.

რუსთავი

დიდი აღმავლობით მიმდინარეობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამშენებლო სამმართველოებსა, კანტორებსა და ქარხნის საამქროებში კრებები, მიძღვნილი საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატების წამოყენებისადმი.

მოქმედი საამქროებისა და განყოფილებების კოლექტივებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში წამოაყენეს ქარხნის და მშენებლობის საუკეთესო ადამიანები: ახალგაზრდა სტახანოველი გრიგოლ გრიგოლის-ძე ჩიქოვანი, მექანიკური საამქროს უფროსი ბიკენტი მიხეილის-ძე ღლონტი. საქარხნო სამმართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დაასახელა მარიამ ივანეს ასული ქალნინა, ხის დამმუშავებელი საამქროს მუშაკებმა — ახალგაზრდა სტახანოველი დურგალი გივი ამბროსის-ძე გვაზავა.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციისაგან საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატად დასახელებულია დიდიკო ალექსანდრეს-ძე ბაქრაძე, მუშათა მომარაგების განყოფილების პარტორგანიზაციისაგან — ემელიანე გიორგის-ძე ცხომელიძე, მეტალურგმშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან — შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ლევ პავლეს-ძე კობოზოვი, აზოტ-ტუკის ქარხნის კოლექტივისაგან—ევდოკია პეტრეს ასული ბაკუნინა. სულ მშრომელთა დეპუტატების გარდაბნის რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა წამოაყენა 35 მოწინავე ადამიანი.

გორი

გორის რაიონის მშრომელები რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასახელებენ საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს. სოფელ თორტიზის კოლმეურნეთა საერთო კრებამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა მოწინავე ბრიგადირი ნიკოლოზ სირბილაძე. იგი მაღალი მოსავლის ოსტატია. ამავე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორდენოსანი სამსონ ბერძნიშვილი.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეთა კრებამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა სტახანოველი კოლმეურნე ქეთია ცარელაშვილი. გორის საკონსერვო ქარხნის პარტორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ლაბორანტი ბაბულია მაჩიტაძე.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში გრძელდება საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა დასახელება.

დეპუტატის სიტყვა და საქმე

აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელს ელპიტე არველაძეს, რომელსაც ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია, არაერთხელ უსახელებია თავი საკოლმეურნეო შრომაში.

ამხანაგ სტალინისათვის ქართველი გლეხობის მიერ გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით ამხ. არველაძემ იკისრა ჰექტარზე მოეყვანა 70 ცენტნერი სიმინდი. მან ენერგიული შრომით პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — ჰექტარზე 77 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდი... და მშრომელთა წერილების—8-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრა...

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის...

...ოლოზის-ძე ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მძიმე დანაკლისი

...მოწველმა ერმა მძიმე დანაკლისი განიცადა, ...გრამ განსაკუთრებით მძიმე—ქართულმა ...ისტორიოგრაფიამ.

...ბა“, ათი წელიც კი არ გასულა მას შემდეგ, ...ხალ ქართულ საისტორიო მეცნიერებას ...ალა მისი ფუძემდებელი, დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

...მის კვალს გაჰყვა მისივე მოწაფე, ჯერ ...სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ...მომცემი ლევან მუსხელიშვილი.

...ეს კი კვლავ დიდაბოძი გამოეცალა ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

...არა გვყავს სიმონ ჯანაშია, რომელმაც ...მარტო მასწავლებლის დიდი მეცნიერული მემკვიდრეობის გაძღოლის მძიმე ტვირთი ...ურა, არამედ ქართული საისტორიო მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე გაშუქების საქმეში სიმონ ჯანაშიას ღვაწლი განსაკუთრებით საპატიოა.

...მხოლოდ მარქსიზმით გამახვილებულ თვალს ...ძლო აღმოეჩინა თითქოს გაცვეთილ ცნობებში სრულიად ახალი სინამდვილე. ქართველი წინაპრები წინა აზიაში, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში, მონათმფლობელობისა და ფეოდალური ურთიერთობის აღმოცენება-არსებობის საკითხები ჩვენში და ...ა არაერთი ძირითადი მნიშვნელობის პრობლემა საქართველოს ისტორიისა სრულიად ახლებურად დასვა და გადაჭრა ქართული საისტორიო მეცნიერების ამ ნოვატორმა. მის მიერ ...ჭვრეტილი არაერთი მეცნიერული დებულება, ...დაოდ და საცილობლად შექმნილი, ...ყევად დაადასტურა შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც უდავო მოწმობაა სიმონ ჯანაშიას მაღალი მეცნიერული ნიჭისა და მის მიერ მარქსისტული მეთოდის მართებულად მოხმარებისა.

მასალის ფაქიზი შესწავლა პირველ წყაროებში, ღრმა მარქსისტული ანალიზი, მაღალნიჭიერი მეცნიერული შემოქმედება, დარბაისლური კეთილშობილი ენა,—აი რა ახასიათებდა ამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე საბჭოთა მეცნიერს.

მაგრამ სიმონ ჯანაშიას მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის სხვა მხრივაც არანაკლები იყო.

სიმონ ჯანაშია დიდი საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. არავის ჩვენს წრეში ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო თავი გაერთვა უმძიმესი ორგანიზაციული საქმისათვის, არავის ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო მოეზიდა და აემუშავებინა ძალები რაიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის. ამ განსაკუთრებული ნიჭის წყალობით იყო, რომ ს. ჯანაშია ასეთი წარმატებით ხელმძღვანელობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მუშაკთა დიდ სამეცნიერო კოლექტივს, რომელმაც შეთანხმებული, ინტენსიური მრავალწლოვანი მუშაობით ქართული საზოგადოებათმცოდნეობის არაერთი დარგი ღირსეულ სიმაღლეზე აიყვანა.

არავინ იდგა ჩვენს შორის მეცნიერული სინდისის სადარაჯოზე უფრო ფხიზლად, ვიდრე სიმონი, არავინ იყო სიმონზე უფრო პრინციპული, უშიშარი და გამყალბებელთა მიმართ ულმობელი, მაგრამ არც არავინ იყო მასავით სათუთი, გულთბილი და თავაზიანი. ამიტომ იყო, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მამად მიაჩნდა არა მარტო მის მოწაფეებს, მის უმცროს თაობას.

ჭეშმარიტად მძიმეა ჩვენი დანაკლისი. ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დაკარგა გამოცდილი და საიმედო წინამძღოლი, ქართულმა ახალგაზრდა არქეოლოგიამ — აღმზრდელი ხელმძღვანელი, ქართულმა ენათმეცნიერებამ—პირველხარისხოვანი მეცნიერი მუშაკი, ქართულმა კულტურამ დიდი მოამაგე და საბჭოთა ქვეყანამ ღირსეული მოქალაქე-პატრიოტი.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი

ქართველი ხალხის ერთგული შვილი

...ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია. ...ვენ არ შეგვეძლო გულდამშვიდებით მოვისმინოთ ამბავი ისეთი ადამიანის გარდაცვალების შესახებაც კი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობით ბოლომდე მოიხადა ...ალი ქვეყნის წინაშე; მით უმეტეს შეუძლებელია აუღელვებლად მოვისმინოთ, რომ აღარ გვყავს ახალგაზრდა, ნიჭით, ცოდნით და ენერგიით აღსავსე მეცნიერი, რომელსაც სურვილიც ჰქონდა და უნარიც კიდევ ბევრი რამ შეემატებინა იმ წვლილისათვის, რომლის შეტანა მან მოასწრო მეცნიერების სალაროში.

სიმონ ჯანაშიას სახით დღეს ჩვენი ხალხი ეთხოვება თავის უერთგულეს შვილს, რომელიც თავდადებით ილწვოდა მისი დიდებისათვის და მტკიცე დარაჯად უდგა მის ინტერესებს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ის კალმით ხელში მედგრად შეებრძოლა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილის ოდესღაც მიმტაცებელ „მეზობელს“.

გლოვობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც სამარეს აბარებს დღეს თავის პირველ ვიცე-პრეზიდენტს და ენერგიულ ხელმძღვანელ-ორგანიზატორს.

გლოვობს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც დაკარგა სასიქადულო პირმშო შვილი და ნიჭიერი პედაგოგი. გული უკვდება ქართველ მეცნიერთა ძველ თაობას, რომელიც შორდება თავის ერთ-ერთ საამაყო მოწაფეს.

დიდია ჩვენი დანაკლისი, მაგრამ ჩვენ არ გვჩვევია სულმოკლეობა და სასოწარკვეთილება. მტკიცედ გვწამს, რომ სიმონ ჯანაშიას საფლავზე და იმ ნიადაგზე, რომელსაც ის ასე ელოლიავებოდა თავის ხანმოკლე სიცოცხლეში, მრავლად წარმოიშობიან და აღიზრდებიან მეცნიერები და მოქალაქენი, რომელნიც ასწილად აუნაზღაურებენ საყვარელ სამშობლოს ულმობელი სიკვდილით მიყენებულ დანაკლისს.

მშვიდობით, ყველასათვის ძვირფასო ადამიანო!

აკადემიკოსი კ. კეკელიძე

სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების გამო

...ულვთო იყო შენი სიკვდილი!

ილია

შემცდარი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დღეს მთელი ქართველი ხალხი გლოვის წუთს განიცდის.

მას ხელიდან გამოეცალა ახალგაზრდა, სახელოვანი მეცნიერი სიმონ ჯანაშია.

ის იყო ისტორიკოსი, მაგრამ არ იყო მარტოდმარტო თავის ვიწრო სპეციალობით შემოფარგლული.

ის იყო უებრო მოქალაქე ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსი და ერთი მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწეთაგანი.

ის იყო მებრძოლი მოაზროვნე, საჭიროების ...რის შესანიშნავი პოლემისტი, დიდი დამცველი საქართველოს ისტორიული ღირსებისა, ...ოვნული სიამაყისა და ყოველივე ამას იცავდა უტყუარი, მტკიცე საბუთების გამოყენებით.

ის მუდამ ახლოს იდგა ხალხთან, საზოგადოებრიობასთან.

ის იყო საბჭოთა საქართველოს ტიპიური ინტელიგენტი.

და გარდაგვეცვალა ეს ძვირფასი კაცი თავისი ნიჭის, ცოდნისა და მოღვაწეობის სრული გაფურჩქვნის დროს.

კიდევ რამდენი დიდი შესაძლებლობა, მის მიერ ჯერ გამოუვლინებელი, თან ჩაიტანა მან საფლავში!

მძიმეა დანაკლისი, მაგრამ უეჭველია, რომ სიმონ ჯანაშიას თანამებრძოლნი, ახალგაზრდა კადრები, მისი მოწაფეები კიდევ მეტი გულმოდგინებით განაგრძობენ ხალხის სამსახურს, რასაც განსვენებული ასე ღირსეულად ეწეოდა მთელ თავის სიცოცხლეში.

შალვა დადიანი

საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენელი

სიკვდილმა უდროოდ შესწყვიტა საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის, აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას სიცოცხლე.

დიდია ს. ნ. ჯანაშიას დამსახურება საბჭოთა მეცნიერების წინაშე. მან, როგორც ეს სჩვევია ბოლშევიკ მეცნიერს, მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი ენერგია შესწირა საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის სამსახურს. იგი დაუღალავად, ენთუზიაზმით მუშაობდა საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის.

მრავალმხრივია აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას მეცნიერული მოღვაწეობა. საყოველთაოდ ცნობილია მისი დამსახურება საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დარგში. იგი დაუნდობლად ამხილებდა ისტორიის ფალსიფიკატორებს. ს. ნ. ჯანაშიამ ბევრი შრომა მოანდომა ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხის გამოკვლევის საქმეს, და ეს საკითხი ახლებურად, მარქსისტულად გააშუქა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელსაც სტალინური პრემია მიეკუთვნა და რომლის შედგენაში მთავარი როლი ს. ნ. ჯანაშიამ შეასრულა, საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ ცნობილია, როგორც შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი და საბჭოთა პატრიოტიზმისა და საბჭოთა ნაციონალური სიამაყის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის ძლიერი საშუალება.

ს. ნ. ჯანაშიამ, როგორც ნამდვილმა მეცნიერმა და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა, განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის დარგში. მან აღზარდა ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა მთელი პლეადა.

ტალანტმა, მრავალმხრივმა მეცნიერულმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, შესანიშნავმა პირადმა თვისებებმა, განსაკუთრებულმა გულისხმიერებამ, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ს. ნ. ჯანაშიას მოუხვეჭეს საყოველთაო პატივისცემა, როგორც ინტელიგენციის, ისე ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთა შორის. ოჩამჩირის რაიონის მშრომელებმა ს. ნ. ჯანაშია აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი განსაკუთრებით აფასებდა ამ ნდობას, დიდ ყურადღებას აქცევდა თავის ამომრჩევლებს, ზრუნავდა მათი საჭიროებისათვის და იძლეოდა იმის ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს დეპუტატი—ხალხის მსახური.

ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ არის ის, ვინც ასეთი დიდი მგზნებარებითა და მონდომებით მუშაობდა მეცნიერების ფრონტზე.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს — გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს—სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას.

ი. მგელაძე, მ. დელბა, მ. კუჭავა, ი. ტუხაძე, ი. გვილავა, ა. ჰოჭუა, ი. გაგუა, ა. ქანდარია, ი. ტანია, ს. სიგუა, ვ. ბალავაძე, შ. ბოკუჩავა, დ. გუნია, თ. თოდუა, მ. ხაზბა, რ. წულუკიძე, ხ. ბლაბა, ი. პაპასკირი, ა. მელიხოვი, პ. რატიანი.

გამოჩენილი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი

უდროოდ დავკარგეთ სიმონ ჯანაშია—გამოჩენილი მეცნიერი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, იშვიათი ადამიანი და მოქალაქე. დიდია დანაკლისი, რომელიც განიცადა საბჭოთა მეცნიერებამ, ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა ქართველმა ხალხმა.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია იყო შესანიშნავი მკვლევარი ქართველი ერის ისტორიისა და ენისა. საქართველოს ისტორიის გარდა, იგი წარმატებით აწარმოებდა კვლევა-ძიებას კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში, არქეოლოგიაში, ენათმეცნიერებასა, ეთნოგრაფიასა და ლიტერატურის ისტორიაში.

ს. ჯანაშიამ მიიღო საფუძვლიანი ენათმეცნიერული მომზადება, ამან მისცა შესაძლებლობა, რომ მარჯვედ გამოეყენებინა ქართველურ-კავკასიური და მცირე აზიის ენათა უხვი ფაქტები როგორც ადრინდელი ხანის ისტორიის საკითხების გასაშუქებლად, ისე ენათმეცნიერების მთელი რიგი ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად. ჯერ კიდევ 1923 წელს გამოქვეყნდა ს. ჯანაშიას პირველი საენათმეცნიერო გამოკვლევები ქართულ და აფხაზურ ენათა მორფოლოგიიდან. მის ცნობილ მონოგრაფიებში: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ბარათაშვილის გენეალოგიისათვის“ და ბევრ სხვაში ისტორიული ასპექტით გაანალიზებულია არა ერთი და ორი ენობრივი მოვლენა და მათი ჩვენების მიხედვით გადაჭრილია ქართული ენის საყურადღებო საკითხები.

ენათმეცნიერულ მონოგრაფიებში „სვანურ-ადიღეური ენობრივი შეხვედრები“, „საქართველოს უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალების მიხედვით“ და სხვ. ახსნილია სვანური ენის სტრუქტურის მანამდე საიდუმლოებით მოცული მთელი რიგი მოვლენები და გარკვეულია ქართველურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობა მთის კავკასიურ ენებთან.

ქართველი ერის ისტორიისა და ენის რთული პრობლემების კვლევის დროს ს. ჯანაშია ამჟღავნებდა არაჩვეულებრივ ნიჭსა და ცოდნას ისტორიკოსისა და ენათმეცნიერისას. სანიმუშოა ამ მხრივ მისი გამოკვლევა „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, რომელშიც გარკვეულია ქართველი ტომების სახელწოდებათა სტრუქტურა და გენეზისი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევა-ძიებისას ს. ჯანაშია ფართოდ იყენებდა ტოპონიმიკურ სახელებს და მათი ენათმეცნიერული ანალიზის მეოხებით, სხვა საბუთებთან ერთად, შუქსა ჰფენდა ქართველ და კავკასიელ ტომთა განსახლება-მოძრაობის პრობლემას.

სიმონ ჯანაშიას გამოკვლევები წარმოადგენენ ძვირფას განძს ქართულ ენათმეცნიერებაში.

ს. ჯანაშია იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, არამედ კარგი ორგანიზატორიც. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი ინსტიტუტების, კერძოდ, ენისა და ისტორიის ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და მათს განვითარებაში.

როგორც კომპეტენტური ენათმეცნიერებაში და სალიტერატურო ენის საკითხებში, ს. ჯანაშია იყო თავმჯდომარე თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა.

ქართველმა ხალხმა, საბჭოთა ინტელიგენციამ, მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა დიდი შემოქმედი მეცნიერი, ქართული კულტურის მოამაგე, ხალხისათვის თავდადებული, საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი, დიდბუნებოვანი ადამიანი.

სიმონ ჯანაშიას სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის გულში.

ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია, გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ს. იორდანიშვილი, ქ. ლომთათიძე, ვ. ფანჩვიძე, გ. როგავა, ს. ჟღენტი, ი. გიგინეიშვილი.

სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის ხსოვნას

გარდაიცვალა სახელოვანი ისტორიკოსი აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.

სიმონ ჯანაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გაიზარდა და ამ ფაკულტეტის მშვენება და სიამაყე იყო.

ძნელია შევურიგდეთ იმ აზრს, რომ სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობის საბოლოო შეჯამების დრო ასე მალე დაგვიდგა. მცირე ხნით გამოჩნდა სიმონი ქართული მეცნიერების ჰორიზონტზე, მაგრამ მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა დიდი მოღვაწის კვალი დასტოვა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში.

სიმონ ჯანაშია თავისი დიდი მასწავლებლის ივანე ჯავახიშვილის ღირსეული მემკვიდრე იყო. მთელი თავისი სიცოცხლე მან ქართველი ხალხის გმირული ისტორიის შესწავლას შესწირა. ღრმად დაეუფლა რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მან საქართველოს ისტორიის მრავალი ახალი ფურცელი გადაშალა. ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსებს იგი აღმზრდელ მამად მიაჩნდათ.

სიმონ ჯანაშია მარტო მეცნიერი როდი იყო, იგი ნიჭიერი ორგანიზატორის, საზოგადო მოღვაწის სანიმუშო ტიპს წარმოადგენდა.

ეს იშვიათი ადამიანი, დიდი მეცნიერი, შეუდარებელი მოქალაქე და მამულიშვილი ხელიდან გამოგვეცალა მისი მეცნიერული ნიჭის სრული გაფურჩქვნის ჟამს.

მშვიდობით, ამხანაგო სიმონ, მშვიდობით მეგობარო და მასწავლებელო!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მუშაკები: აკადემიკოსები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, პროფესორები: შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე, გრ. ნათაძე, გ. ჩიტაია, ა. ნამორაძე, ა. ფირცხალაიშვილი, ი. ცინცაძე, ვ. დონდუა, მ. ბერძნიშვილი; დოცენტები: ა. კიკვიძე, კ. გრიგოლია, ნ. ქადეიშვილი, ი. ხუციშვილი, მ. ალექსიშვილი, ა. გორგაძე, გ. ტივაძე, ვ. დონაძე, ვ. გაბაშვილი, დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, ი. კაჭარავა, ს. ბოკუჩავა, გ. კიღურაძე, გ. ჟორდანია, მ. გოგატაძე.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხედართან

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხედართან ბინაზე 17 ნოემბერს შეიკრიბნენ საქართველოს მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და სტუდენტები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, განსვენებულის მოწაფეები და მეგობრები.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას ნეშტი დღის 12 საათზე გადასვენებულ იქნა სამგლოვიაროდ მორთულ თბილისის ოფიცერთა სახლის დიდ დარბაზში. განსვენებულის კუბო დადგმულია მაღალ კვარცხლბეკზე, რომელიც შემკობილია გვირგვინებით. მათ შორის არის გვირგვინები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს და სხვა მრავალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და განსვენებულის პირადი მეგობრებისაგან.

დღის 3 საათიდან დაიწყო დარბაზში გამოსათხოვებლად შესვლა. ცხედრის წინ საღამომდე გაიარა თბილისის მრავალმა ათასმა მშრომელმა, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ განსვენებული მეცნიერის ხსოვნისადმი. საღამოს სრულ 8 საათზე სამგლოვიარო პროცესის სვლა შეწყდა და დარბაზში გაისმა მესიკის მწუხარე ჰანგები.

საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. სტურუა, პ. შარია, ზ. კეცხოველი, ვ. ეგნატაშვილი, ა. გიგოშვილი, ი. ტალახაძე, შ. წერეთელი, აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ბერიტაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ... ჯანელიძე, რ. აგლაძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი, გ. წულუკიძე, ი. ქუთათელაძე, ა. ალადაშვილი, ა. დიდებულიძე და კ. ზავრიევი. მწერლები: ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე და სხვები.

პანაშვიდი დასრულდა 9 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(გაგრძელება)

მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაიონული საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გეგიძე** ივანე ესეს-ძე — ლანჩხუთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **თიკარაძე** ბესარიონ ლუკას-ძე — სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჩხაიძე** გიორგი ისაკის-ძე — ლანჩხუთის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ბაღდავაძე** ვარდო ფილიპეს ასული — ლანჩხუთის საშუალო სკოლის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ხოფერია** გერმანე კონსტანტინეს-ძე — სოფელ ლესას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ჩხაიძე** გოგოლა გიგიოს ასული — სოფელ ტელმანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ცინცაბაძე** დავით იოსების-ძე — ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **მურვანიძე** თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ებრალიძე** ვარლამ სამსონის-ძე — ლანჩხუთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების მარნეულის რაიონული საბჭოს არჩევნების მარნეულის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ქერიმოვი** იმრან ქერიმის-ძე—მარნეულის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბერიძე** გიორგი პლატონის-ძე — მარნეულის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **მამედოვი** გოჯა მოილა ოღლი — მარნეულის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **მორთულაძე** ნინო მიხეილის ასული — მარნეულის რაიონის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **მამედოვა** ფირუზა მახმუდ ყიზი — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მარნეულის რაიონული ორგანიზაციისაგან, **შაქარ** ყარა ყიზი — სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **მორთულაძე** ნიკოლოზ იაკობის-ძე — მარნეულის რაიონის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **ფრანგულიკ** კარპეზ იაკობის-ძე — თავდაცვა-ავიაქიმის მარნეულის რაისაბჭოსაგან, **ხუბანოვი** ისა ალექპერ ოღლი—სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს არჩევნების მახარაძის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გობრონიძე** აკაკი გრიგოლის-ძე—მახარაძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვასაძე** შალვა გიგოს-ძე — მახარაძის ძაფსაგრეხი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჯანელიძე** ისიდორე დიმიტრის-ძე — მახარაძის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **შავიშვილი** კიტა ნიკოლოზის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან, **მგალობლიშვილი** სილოვან ვლადიმერის-ძე — ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან, **მენაღარიშვილი** მარიამ ვიქტორის ასული — მახარაძის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ტაბიძე** დარეჯან საბას ასული — სოფელ ქვანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ზუბჩენკო** ტატიანა პროკოფის ასული — კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისა და სპეციალისტებისაგან, **მახარაძე** ანტონ ნიკიფორის-ძე — მახარაძის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს არჩევნების მაიაკოვსკის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **რობაქიძე** ალექსანდრე ივანეს-ძე მაიაკოვსკის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ჭრელაშვილი** ეკატერინე ერმალოზის ასული — სოფელ მაიაკოვსკის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ებანოიძე** ბაგრატ ივლიანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ნებიერიძე** ზინა მელიტონის ასული — მაიაკოვსკის რაიონის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **ჩხეიძე** თამარ ვლადიმერის ასული — მაიაკოვსკის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან, **ნინუა** არკადი ილარიონის-ძე—მაიაკოვსკის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **კოტორეიშვილი** სევერიან ოქროპირის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ენდელაძე** აბესალომ ალმასხანის-ძე — სოფელ ფერსათის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **სტურუა** თამარ პავლეს ასული—ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისა და სპეციალისტებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაიონული საბჭოს არჩევნების მცხეთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბურდული** ალექსანდრე მათეს-ძე — მცხეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მგალობლიშვილი** ტიტე ბეგლარის-ძე—მცხეთის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **თათარაშვილი** რუსუდან ზაქარიას ასული — მცხეთის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **როსტიაშვილი** ლიდა ნიკოლოზის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მცხეთის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ბარისაშვილი** ალექსანდრე მიხეილის-ძე — მცხეთის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ხანდამოვა** სოფიო აბრამის ასული — მცხეთის ასანთის ფაბრიკის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ნონიაშვილი** ოლღა მიხეილის ასული — სოფელ წეროვანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ლაშაური** შოთა სანდროს-ძე—სოფელ წილკანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **იმერლიშვილი** ოთარ ვასილის-ძე — მცხეთის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ონის რაიონული საბჭოს არჩევნების ონის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჭელიძე** ალექსანდრე ლეონტის-ძე — ონის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჯაფარიძე** ნადეჟდა ივანეს ასული — ონის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფარჯიანაძე** ელენე გიორგის ასული — ონის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **აბაიშვილი** გივი ანტონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ონის რაიონული ორგანიზაციისაგან, **მაისურაძე** ქეთო ნიკოლოზის ასული — ონის ქალთა საშუალო სკოლის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ბენდიანიშვილი** ევგენი სოლომონის-ძე —სოფელ სომიწოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გუგეშაშვილი** ექვთიმე ალექსის-ძე — სოფელ ხიდეშლების კოლმეურნეობა „ახალი გზის“ წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბარბაქაძე** ლავრენტი ალექსანდრეს-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კიკვაძე** ირაკლი დიმიტრის-ძე — წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ორჯონიკიძის რაიკომისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **აბაშიძე** დავით ვასილის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საფინანსო და საბანკო მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ლეჟავა** ვერა ვლადიმერის ასული — ხარაგოულის ქალთა საშუალო სკოლის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, **კვირიკაშვილი** ვარლამ სამსონის-ძე — სოფელ ლაშეს კოლმეურნეობა „იმედის“ წევრებისაგან, **კუპრაძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ლოლაძე** ვერა რაჟდენის ასული—ორჯონიკიძის რაიონის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **სხილაძე** მარო მიხეილის ასული — მარელისის ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ბლუაშვილი** ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე — ხარაგოულის რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონული საბჭოს არჩევნების საგარეჯოს რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გოგიტაშვილი** შალვა მიხეილის-ძე — საგარეჯოს რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გრძელაშვილი** ეკატერინე მიხეილის ასული—სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ნაცვლიშვილი** სიმონ ნიკოლოზის-ძე — საგარეჯოს რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

